

თემა 8.

8. 1. ინდოევროპულ ენათა ოჯახი

დღეს საყოველთაოდ მიღებულია, რომ ინდოევროპულ ენათა ოჯახში შედის როგორც ცალკეული ენები ისე ენათა ჯგუფები:

1. ინდურ ენათა ჯგუფი
2. ირანულ ენათა ჯგუფი
3. სლავურ ენათა ჯგუფი
4. ბალტიკურ ენათა ჯგუფი
5. გერმანიკულ ენათა ჯგუფი
6. იტალიკურ ენათა ჯგუფი
7. კელტურ ენათა ჯგუფი
8. ბერძნული ენა
9. ალბანური ენა
10. სომხური ენა
11. ანატოლიურ ენათა ჯგუფი
12. ტოხარული ენა

გერმანიკულ ენათა ჯგუფი

ჩრდილოგერმანიკული (სკანდინავიური) ქვეჯგუფი

ა) დღეს მოქმედი

1. დანიური ენა- ბევრი საერთო აქვს ნორვეგიულთან. რუნული წარწერები მე-9 საუკუნიდან. წერილობითი უზეგლები XI-XII საუკუნიდან ლათინური ანბანით. XIV-XIX საუკუნემდე სალიტერატურო ენა ნორვეგიულთან ერთად.

2. შვედური ენა-ჩამოყალიბდა XVI-XVII საუკუნეებში. ლუნული წარწერები მე-9 საუკუნიდან. წერილობითი ძეგლები XIII საუკუნიდან.

3. ნორვეგიული ენა- რუნული წარწერები X საუკუნიდან. აელნაწერი ძეგლები XII საუკუნიდან
4. ისლანდიური ენა- ლათინური ანბანით წერა დაიწყო XIII საუკუნიდან. რუნული წარწერები XIII საუკუნიდან.
5. ფაროული ენა- ფაროე კუნძულზე ნორვეგიული და ისლანდიური ენების მსგავსი აგებულების ენა. ჩაწერილია ფოლკლორული ტექსტები ლათინური ანბანით XVIII საუკუეში. ლიტერატურის ენაა 1939 წლიდან.

დასავლურ გერმანიკული ქვეჯგუფი

6. ინგლისური ენა- ითვლება საერთაშორისო ენად. ახალი ინგლისური წარმოიქმნა XVI საუკუნეში ლონდონის დიალექტის საფუძველზე. ძველი ინგლისური V-XI სს., საშ.ინგლისური XI-XVI სს. წერილობითი ძეგლები ლათინური ანბანით VII საუკუნიდან
7. გერმანული ენა- იყოფა ორ დიდ დიალექტად ქვემოგერმანული (Niederdeutsch ანუ Plattdeutsch, რომელიც გავრცელებულია ჩრდილოეთით და ზემოგერმანული (Hochdeutsch), გავრცელებული სამხრეთით. ეს მეორე დაედო საფუძვლად სალიტერატურო ენას, რომელმაც გაიარა საფეხურები ძველზემოგერმანულის(VIII-XI სს), საშუალო ზემოგერმანული (XII-XV), ხოლო XVI საუკუნიდან გვაქვს ახალი ზემოგერმანული, რომელიც წარმოიშვა უმთავრესად ლუთერის ბიბლიის თარგმანის საფუძველზე. გერმანული ენის დამწერლობა ორი სახეობით არის წარმოდგენილი – გუთურით (მე-4 საუკუნეში ეპისკოპოს ულფილას/ვულფილას გუთური ბიბლიის ენა. ამ თარგმანის ფრაგმენტები შემონახულია შვეციის ქალაქ უფსალაში, codex argenteum ვერცხლის კოდექსის სახელით. ხოლო დამწერლობის მეორე სახე არის წარმოდგენილი ანტიკვით.
8. ჰოლანდიური (ანუ ნიდერლანდური) ენა- სახელმწიფო ენა. დამწერლობა ლათინური ანბანით. მისგან ოდნავ განსხვავებულია ჰოლანდიაში სამხრეთ აფრიკაში გადასახლებულ ჰოლანდიელთა ენა- ბურების ენა ანუ აფრიკაანსი.
9. ფლამანდიური ენა- ასე ეწოდება ნიდერლანდის (ჰოლანდიურ ენას), რომელიც ბელგიის ჩრდილო პროვინციებშია გავრცელებული და სახელმწიფო ენის უფლებებშია ფრანგულთან ერთად. ოდნავ განსხვავებულია ჰოლანდიურისგან.
10. ფრიზული ენა- ნიდერლანდში, გერმანიასა და დანიაში ხმარებული ენა, წერილობითი ძეგლები XIV საუკუნიდან.
11. იდიშ (ანუ ახალბრაული) ენა: გავრცელებულია აღმოსავლეთ გერმანიაში, პოლონეთსა, გალიციაში, უკრაინაში და სხვა. ჩამოყალიბდა ძირითადად

ზემოგერმანულის სხვადასხვა დიალექტთა საფუძველზე- სლავურთან და სხვა ენებთან შერევით. დამწერლობა ძველებრათა ენაა.

აღმოსავლეთ გერმანიკული ქვეჯგუფი

ბ) გადაშენებულნი

13. ვესტგუთური (დასავლური გუთური) ენა; გუთების სახელმწიფო ენა ესპანეთსა და ჩრდილო იტალიაში შუა საუკუნეებში. დამწერლობა გუთური ენაა, რომელიც შექმნა ეპისკოპოსმა ვულფილამ (სლფილას), მანვე თარგმნა სახარება, რაც გერმანიკულ ენათა ყველაზე ძველი ძეგლია.

14. ოსტგუთური ენა- აღმოსავლური გუთების ენა ადრინდელ საშუალო საუკუნეებში შავი ზღვის ჩრდილო ნაპირებსა და დნეპრის სამხრეთ ნაწილზე, სადაც მან იარსება XVI საუკუნემდე.

ტერმინი ინდოევროპული ან ონდოგერმანული ეკუთვნის მე/19 საუკუნეში მოღვაწე გერმანელ ენათმეცნიერს კლაპროტს, რომელიც ამ ტერმინის ქვეშ მოიაზრებდა ენათა გავრცელების დიდ არეალს: ინდოეთიდან ისლანდიამდე.

8.2. რუნული ენა / Runen

გერმანიკული ტომების დამწერლობის უძველესი ძეგლები შესრულებულია რუნული ან რუნიკული ენაა მირითადად III- VII საუკუნეებში, თუმცა ისინი უფრო გვიანდელ ეპოქებშიც, განსაკუთრებით სკანდინავიაში გვხვდება (XVI-XVII საუკუნეებში).

რუნული ენის წარმოშობაზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ისინი ერთი მხრივ ძალიან გავს ლათინურ და ბერძნულ ასოებს, ისე რომ შესაძლოა, ისინი გერმანიკულ ტომებს ხმელთაშუა ზღვის არეალის რომელიმე კულტურული ხალხისგან გადმოეღოთ. მაგრამ არსებობს ასევე ე.წ. აუტოხტონური (autochthon) მიდგომა, რომ ისინი უშუალოდ გერმანიკული ტომების (indigen - იქ მცხოვრები, ადგილობრივი) ქმნილებებს წარმოადგენენ, რაც კულტურ-იტალიკურ და არამეულ გავლენას არ გამოიხატავდა, რადგან თითქმის ყველა ევროპული შრიფტი არამეულ გავლენაზე მოწმობს.

რუნული ენა 24 ასოსგან შედგებოდა. მას პირველი ექვსი ნიშნის, ტრადიციულად რიგის მიხედვით „ფუთარქი“ ეწოდა.

𐀓𐀆𐀆𐀓, F-U-B-A-R-K.



1. მე/9 საუკუნე საფლავის ქვა, შვედეთი



2. მე/7 საუკუნე, სამკაულების შესანახი ხის ყუთი, ინგლისი

რუნები ერთი მხრივ ასოებს, ალფავიტის ნიშნებს წარმოადგენდნენ, მეორე მხრივ კი ისინი ამა თუ იმ ცნებების გამომხატველიც იყო, რომლებსაც სახელებით აღნიშნავდნენ. ამავდროულად ისინი რიცხვებსაც აღნიშნავდნენ. რუნები არ წამოადგენდა შრიფტს ჩვეულებრივი გაგებით, ისინი არ იყო საკომუნიკაციო საშუალება. მათ გერმანიკული ტომები იყენებდნენ მოკლე წარწერებისთვის იარაღზე, ხის საგნებზე, საფლავის ქვებზე და ა.შ. სულ 6.500 მდე რუნული წარწერაა ცნობილი ძირითადად სკანდინავიაში ვიკინგების ეპოქიდან. ყველაზე უძველესი მე-2 საუკუნიდან, ნაპოვნია გერმანიაში შლეზვიგ-ჰოლშტაინში. ისინი აღმოჩნდა ასევე იუტლანდიაში, დანიასა და სამხრეთ შვედეთში, ინგლისში და აღმოსავლეთ გერმანიაში, (ბრანდენბურგში) და პოლონეთშიც. ეს წარწერები მეტწილად საკუთარი სახელებია, ზოგჯერ საგნებზე მთელი ანბანია გამოსახული.

მაგალითად წარწერას, შესრულებულს 420 წ., „საერთოგერმანიკულ წინარე ენას“ Urgermanisch მიაკუთვნებენ: Ich, Hlewegast aus dem Geschlecht des Holt (aus dem Ort Holt) machte das Horn. მე, ჰლევეგასტმა ჰოლტის მოდემისამ (ჰოლტიდან ანუ ამ ადგილიდან) გავაკეთე ეს საყვირი რქისგან.

რუნებს ძველი გერმანიკული ტომები მაგიურ ძალას მიაწერდნენ და მათ საკრალურ(რელიგიურ- მისტიკური) მიზნებისთვის, როგორც მაგიურ ნიშნებს სპირიტუალურ სეანსებში იყენებდნენ. თვით გუთური სიტყვა „runa“საიდუმლოს, მისტიურს ნიშნავს. ის როგორც ძირი შემორჩა გერმანულ სიტყვაში raunen-

საიდუმლო ჩურჩული. გავრცელებული იყო რუნებზე მკითხაობა: ხის ჯოხებს, რომლებზეც რუნული ნიშნები იყო ამოტვიფრული თეთრ ქსოვილზე დაალაგებდნენ. ქურუმი სათითაოდ იღებდა ამ ჯოხებს და წინასწარმეტყველებდა. რუნების ცოდნა ქურუმების პროფესიული საიდუმლოება იყო და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. მკითხაობის რიტუალს უკავშირებენ სიტყვას Buchstabe (ასო), რომელიც თავდაპირველად აღნიშნავდა წიფლის ჯოხს, რომელზეც რუნული ნიშნები იყო ამოჭრილი. ხოლო სიტყვა lesen (კითხვა) თავდაპირველად იხმარებოდა როგორც „ამორჩევა“ „ამოკრეფა.“

გაქრისტიანების პროცესში გერმანიკული ტომები გაეცნენ ბერძნულ და ლათინურ ანბანს, რომელმაც მე/11 საუკუნის დასაწყისში განდევნა რუნული დამწერლობა. მაგრამ რუნები, ლათინურთან ერთად, შედარებით გვიანდელ პერიოდამდე სკანდინავიის ქვეყნებში, განსაკუთრებით შვედეთში, მე-16, მე-17 საუკუნეებამდე საფლავის ქვებზე გამოიყენებოდა .

8.3. სიტყვის „Deutsch“ მნიშვნელობა

სიტყვა „deutsch“ დაფიქსირებულია პირველად ლათინურ ტექსტში 786 წელს ფორმით „theodiscus“. იგი აღნიშნავდა ხალხის ანუ ხალხურ ენას ლათინურის საპირისპიროდ, რომელიც სასულიერო და განათლებული ფენების ენა იყო.

843 წელს უკვე გვხვდება „ Theodisca lingua“ ხალხის ენა, რომელიც ეტიმოლოგიურად უკავშირდება გუთურ piuda-ს - და ძველზემოგერმანულ diot „ხალხი“.

X საუკუნის მიწურულს, ძველზემოგერმანულ ტექსტებში იხმარებოდა უკვე „in diutiscun“(პირველად იმდროინდელ ცნობილ ავტორთან, ნოტკერთან) „diutisca zunga“ ან dütsch ხალხური ენა, მოგვიანებით მე-11 საუკუნის დამლევს diutisciu-diutschi man“ (გერმანულ კაცთა ანუ გერმანელთა ენა) და შემდგომ diutisciu/diutschi lant (Deutschland). ამრიგად თვით კომპოზიტი(ნაწარმოები სიტყვა) Teutschland ფეხს იკიდებს მხოლოდ მე- 15, მე- 16 საუკუნეებში და მას არავითარი საერთო არ აქვს ტევტონებთან (Teutonen), ერთ-ერთი გერმანიკული ტომის სახელთან, როგორც ეს მომდევნო ეპოქებში (შეცდომით) ეგონათ.

ამრიგად, სიტყვა deutsch თავდაპირველად უკავშირდებოდა ენას და მხოლოდ შემდგომ- შესაბამის ხალხს და სახელმწიფოს (გერმანული ანუ გერმანელთა ენა). ეს არის უნიკალური შემთხვევა, როცა ხალხს სახელი მისი ენის მიხედვით დაერქვა და არა პირიქით, როგორც ეს ჩვეულებრივ სხვა ენებთან მიმართებაშია: მაგალითად, ქართული ენა არის ქართველთა ენა, ინგლისური- ინგლისელთა და ა.შ.